საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW MARKET SURVEILLANCE AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: 1483
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: 1483

KARR0165769031922

№ **01/245** **19 / აპრილი / 2022 წ.**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის
პროგრამის კოორდინატორს
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

თქვენი 2022 წლის 4 აპრილის № 3-783 წერილის პასუხად გიგზავნით თქვენ მიერ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას, კერძოდ, 2022 წლის I კვარტალში ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობის მონაცემებს. ასევე, გაცნობებთ, რომ ქიმიური უსაფრთხოების დამატებით მოთხოვნებთან დაკავშირებით ამ ეტაპზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

2022 წლის I კვარტალში სააგენტოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობა ადგილობრივ ბაზარზე:

შემოწმდა 24 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული 63 პროდუქტი. კერძოდ, შემოწმდა 6 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული 16 სათამაშო, 11 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული 26 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობა და 8 ეკონომიკური ოპერატორის მიერ ბაზარზე განთავსებული 21 ინდივიდუალური დაცვის საშუალება, რომელთაგან რეალიზაცია შეუჩერდა 10 ეკონომიკურ ოპერატორს 29 დასახელების პროდუქტზე.

აღმოჩენილი შეუსაბამობების დადგენილ ვადებში აღმოუფხვრელობის შედეგად, 6 სათამაშოზე, 13 ინდივიდუალური დაცვის საშუალებასა და 10 აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობაზე გამოიცა დადგენილებები რეალიზაციის შეჩერების შესახებ.

2022 წლის I კვარტალში გადამოწმდა სამომხმარებლო პროდუქტების 21 ეკონომიკური ოპერატორის რეალიზაციის შეჩერების შესახებ დადგენილებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, რომელთაგან 9 ეკონომიკურ ოპერატორს 25 დასახელების პროდუქტზე რეალიზაცია შეჩერებული ჰქონდა 2022 წლის I კვარტალში, ხოლო 12 ეკონომიკურ ოპერატორს 23 დასახელების პროდუქტზე რეალიზაცია შეჩერებული ჰქონდა 2021 წლის IV კვარტალში. მათ შორის, ერთი ეკონომიკური ოპერატორის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ არ იყო შესრულებული დადგენილებით დაკისრებული ვალდებულებები 2 დასახელების პროდუქტზე. შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები.

დანართის სახით ასევე გიგზავნით დეტალურ ინფორმაციას, სააგენტოს მიერ 2022 წლის I კვარტალში სააგენტოს მიერ ადგილობრივ ბაზარზე განხორციელებული ზედამხედველობის შესახებ.

2022 წლის I კვარტალში სააგენტოს მიერ განხორციელებული ზედამხედველობა საბაჟო ტერიტორიაზე:

შემოწმდა საბაჟოზე იმპორტით შემოსული სათამაშოების 1284 იმპორტის წინასწარი შეტყობინება, რომელთაგან 46%-მა ვერ დააკმაყოფილა ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები. აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შემთხვევაში სულ შემოწმდა 558 იმპორტის წინასწარი შეტყობინება, რომელთაგან 68%-მა ვერ დააკმაყოფილა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები. ასევე, შემოწმდა ინდივიდუალური დაცვის საშუალებების 296 იმპორტის წინასწარი შეტყობინებიდან, რომელთაგან 74%-მა ვერ დააკმაყოფილა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

გარდა ამისა განხილულ იქნა სამშენებლო პროდუქტების 1708 იმპორტის წინასწარი შეტყობინება, რომელთაგან 1320-მა დააკმაყოფილა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები და მანქანა-

დანადგარების 2279 იმპორტის წინასწარი შეტყობინება, რომელთაგან 1883-მა დააკმაყოფილა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

ამასთან, გაცნობებთ, რომ მითითებული მონაცემები წარმოადგენს ატვირთული დოკუმენტაციის შემოწმების პირველად შედეგებს და იმპორტიორთა ნაწილის მიერ აღნიშნული ხარვეზები შემდგომში იქნა გამოსწორებული.

დანართი:

1. 2022 წლის I კვარტალში შემოწმებული სამომხმარებლო პროდუქტები;

2. 2022 წლის I კვარტალში შემოწმებული სამშენებლო და ინდუსტრიული პროდუქტები.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

ელენე კუტალაძე